ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ა/წლის 4 ოქტომბრის №10/17610 წერილის საფუძველზე, დანართის სახით, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ეროვნული ფორუმი"-ს თავმჯდომარის ავთანდილ დავითაძის 2016 წლის მუშაობის ანგარიშს.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი და

1 CD-დისკი.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი, ფრაქცია
„ეროვნული ფორუმი"-ს თავმჯდომარე
ავთანდილ დავითაძე

№10/17610 24.10.16წ.

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება

ფურცელი რაოდენობა 1 ფურცელი

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ავთანდილ დავითაძის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ავთანდილ დავითაძის აქტივობა:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი"-ს თავმჯდომარე;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი"-ს თავმჯდომარეობით, საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს რეგლამენტით 2016 წლის იანვრიდან - აგვისტოს ჩათვლით ჩატარებული მაქვს 18 სხდომა, სადაც განვიხილეთ 83 საკითხი.

როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ 2016 წლის იანვრიდან დღემდე ქ. თბილისის საკრებულოში მივიღე 75 მოქალაქე, რომლებსაც აღმოვუჩინე სხვადასხვა დახმარება ჩემი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში.

2016 წლის იანვრიდან მივიღე, განვიხილე და რეაგირება (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე) განვახორციელე ფიზიკური და იურიდიული პირების 5 (ხუთი) განცხადება/წერილზე.

სოციალურ თემატიკას განეკუთვნებოდა 4 (ოთხი) განცხადება/წერილი, აქედან 3-დადებითად გადაწყდა და დაკმაყოფილდა, ხოლო ერთს ეთქვა უარი, ვინაიდან ბოლო დაფინანსებიდან არ იყო 3 თვე გასული. სხვა პრობლემურ საკითხებს განეკუთვნებოდა 1 განცხადება/წერილი, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

- მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, 2016 წლის იანვრიდან დღემდე, საკრებულოს მიერ ჩატარებული 25 სხდომიდან დავესწარი 14 სხდომას, ვიანიდან ჩართული ვიყავი საარჩევნო პროცესში და ვიმყოფებოდი აჭარაში.
- როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი 2016 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარებული 8 სხდომიდან დავესწარი ყველა სხდომას და შევისწავლე 48 საკითხი.
- როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი 2016 წლის იანვრიდან დღემდე 28 კომისიის სხდომიდან დავესწარი 19 სხდომას და განხილული იქნა 167 საკითხი.

გარდა ამისა, ფრაქციაში აქტიურ რეჟიმში იქნა განხილული თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია:

- თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა;
- გარემოსდაცვითი მმართველობისა და ინსტიტუციური მართვის გაძლიერება და მართვის გაძლიერება და მათი შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადების გათვალისწინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი სტრატეგიის პროექტს მხარი დაუჭირა ფრაქციამ.

ხაზგასასმელია ის დადებითი ტენდეციები, რაც 2016 წელს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი"-ს წევრის და ასევე გარემოსდაცვის კომისიის თავმჯდომარის შორენა ბუხრაშვილის მიერ განხორციელდა. მის კომისიაში 2016 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარდა 20 სხდომა, სადაც განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული 56 საკითხი (მათ შორის მოქალაქეთა წერილები და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტები).

ამ კომისიის პრიორიტეტებია: გამწვანების მიმართულება; შინაურ და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხები (მიმართულება).

გარდა ამისა, განხილული იქნა, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს N06/22042 წერილით წარმოდგენილი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული „ნარჩენების მართვის სტრატეგიის (2016-2030 წწ.) და სამოქმედო გეგმის (2016-2020წწ.) პროექტები.

2016 წლის იანვრიდან დღემდე კომისიაში შესულია 70 განცხადება/წერილი, უმეტესობა დაკმაყოფილებულია.

აღსანიშნავია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ განხილული და 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვის საპოლოტე პროგრამები:

- ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპია;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება;
- ადრეულ ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსება;

მოგახსენებთ, რომ ფრაქციის წევრისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის გივი გოგლიძის ბიუროს 2016 წლის იანვრიდან დღემდე მიმართა 159-მა მოქალაქემ, აქედან 110 - მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე. დაფინანსდა 139 მოქალაქე. მედიკამენტებით მეორადად დაფინანსდა 24 მოქალაქე.

ფრაქციის წევრის დეპუტატ ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით პატრიარქის კურთხევით ისნის რაიონში წულამის ქ. 23-ში (ყოფ. საქვაბის ტერიტორია) მთლიანად გადაეცა საპატრიარქოს - ბერი გაბრიელ სალოსის სახელობის ტაძრის ასაშენებლად.

მე, როგორც ფრაქციის თავმჯდომარე აქტიურად ვიყავი ჩართული აღნიშნული თემის იურიდიული საკითხების მოგვარებაში.

ისნის რაიონის ბიუროში 2016 წლის განმავლობაში შემოსულია 382 განცხადება, აქედან:

- შუამდგომლობა გაეწია - 195;
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 87;
- მედიკამენტები - 48;
- ოპერაცია - 11;
- სამედიცინო მომსახურება - 24;
- შეშა და საშენი მასალა - 9;
- საბავშვო ბაღში დარეგისტრირება - 8;

ფრაქცია „ეროვნული ფორუმი"-ს თავმჯდომარე

ავთანდილ დავითაძე